აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბიუროს გადაწყვეტილება სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ

ოქმი 20 | 7 აგვისტო, 2020 წელი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე გაცემული რესტრუქტურიზაციის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (09-01-08/99, 03.08.2020)

დასახელება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო	*აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე*
ავტორი	ინიციატორი

საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტი

წამყვანი კომიტეტი

03.08.2020 წელი	წამყვანი კომიტეტი: 12.08.2020 სხვა კომიტეტები: 11.08.2020	
შემოსვლის თარიღი	საკომიტეტო მოსმენის ბოლო ვადა	სხდომაზე განხილვის თარიღი

აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტი

კომიტეტი რომლის დასკვნა სავალდებულოა

უმაღლესი საბჭოს ბიურო ადგენს:
უმაღლესი საბჭოს კომიტეტებსა და ფრაქციებში დაიწყოს სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **დავით გაბაიძე**

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს აპარატი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

05/08/2020
N 1335

1335-09-02-11-3-202008051731

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი
საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და
საქმისწარმოების დეპარტამენტის
უფროსს ბატონ გიორგი ბერიძეს

დასკვნა

,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე გაცემული სესხების რესტრუქტურიზაციის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტის შესახებ

(N09-01-08/99, 03.08.2020 წ. ინიციატორი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 85-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტისა და 86-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის მიერ განხილულ იქნა ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე გაცემული სესხების რესტრუქტურიზაციის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი.

წარმოდგენილი კანონის პროექტი შეესაბამება ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-18 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

პატივისცემით,

გელა ღოღობერიძე

განყოფილების უფროსი

იურიდიული განყოფილება

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე

GEORGIA
AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA
CHAIRMAN OF GOVERNMENT

№ 1427/02 "03" 08 2020

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს
ბატონ დავით გაბაიძეს

ბატონო დავით,

წარმოგიდგენთ აჭარის ავტონონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტისა და ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-9 მუხლის მეორე პუნქტის ,,კ" ქვეპუნქტის შესაბამისად „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე გაცემული სესხების რესტრუქტურიზაციის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტს.

გთხოვთ, განიხილოთ.

დანართი: „ 8 " ფურცელზე.

01-03/99
3.08.2020
9 ფურცელი

პატივისცემით,
თორნიკე რიჟვაძე

6010 ქ. ბათუმი კ. გამსახურდიას 9
ტელ.: (422) 272070
administration@ajara.gov.ge

6010 Batumi, Georgia. 9. Gamsakhurdia Str.
Phone: (422) 272070
administration@ajara.gov.ge

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №411

2020 წლის 31 ივლისი ქ. ბათუმი

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე გაცემული სესხების რესტრუქტურიზაციის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსათვის წარდგენის შესახებ

აჭარის ავტონონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტისა და ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-9 მუხლის მეორე პუნქტის ,,ზ“ და ,,კ“ ქვეპუნქტების შესაბამისად,

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს წარედგინოს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე გაცემული სესხების რესტრუქტურიზაციის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი.

2. ბრძანების 1 – ლი პუნქტით გათვალისწინებული კანონის პროექტის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში განხილვისას მომხსენებლად დაინიშნოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრი ტიტე არუშიძე.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

თორნიკე რიჟვაძე

პროექტი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

კ ა ნ ო ნ ი

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე გაცემული სესხების რესტრუქტურიზაციის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე გაცემული სესხების რესტრუქტურიზაციის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში და კანონს (გაზეთი „აჭარა“, N82, 29.05.2007) დაემატოს შემდეგი შინაარსის მე- ,,7^1“ მუხლი:

,,7^1. გარდამავალი დებულებები

,,ჩამოწერილად ჩაითვალოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამისი კანონით განსაზღვრული 2017-2018 წლების პროგრამების „სოფლის მეურნეობის განვითარება მაღალეფექტური ტექნოლოგიების დანერგვის გზით“, ქვეპროგრამების „მაღალეფექტური ერთწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების განვითარების ხელშეწყობა“ ფარგლებში წარმოქმნილი ბენეფიციარების (ფიზიკური პირები, კოოპერატივი) დავალიანება (ქვეპროგრამებით განსაზღვრული თანაგადახდისათვის გათვალისწი-ნებული გადაუხდელი თანხა და აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული გადაუხდელი პირგასამტეხლო) და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დაფუძნებულმა ა(ა)იპ - აგროსერვის ცენტრმა უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების გატარება.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე **თორნიკე რიჟვაძე**

ბათუმი,

------ ---------- 2020 წ.

N -------

ვიზირებულია:

ოთარ დიასამიძე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის
იურიდიული და ადამიანური რესურსების დეპარატმენტის უფროსი

განმარტებითი ბარათი

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე გაცემული სესხების რესტრუქტურიზაციის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე” აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე სოფლის მოსახლეობის პროცენტული მაჩვენებელი რეგიონის მთლიანი მოსახლეობის თითქმის ნახევარს შეადგენს, მათი აბსოლუტური უმრავლესობა ჩართულია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში. შესაბამისად, აჭარის რეგიონისათვის სოფლის მეურნეობა მოსახლეობის ნახევრის შემოსავლებისა და კეთილდღეობის განმსაზღვრელია. ამდენად, მნიშვნელოვანია აგრარულ სექტორში დასაქმებულთა ხელშეწყობა და მხარდაჭერა სახელმწიფოს მხრიდან, გამოხატული ინტელექტუალური (ტექნიკური დახმარება, ექსტენცია და სხვა) თუ მატერიალური (სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, ნერგების/ჩითილების გადაცემა თანაგადახდით ან მის გარეშე და სხვა) ფორმით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი ითვალისწინებს ფერმერთა ინტერესებზე ორიენტირებულ, მხარდამჭერ პროგრამებს.

აღსანიშნავია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2017 წლის პროგრამის „სოფლის მეურნეობის განვითარება მაღალეფექტური ტექნოლოგიების დანერგვის გზით“ ქვეპროგრამის „მაღალეფექტური ერთწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების განვითარების ხელშეწყობის“ ფარგლებში შესყიდულ იქნა სასუქი და ჰერბიციდი, რომელიც გაცემულ იქნა 2018 წლის პროგრამის „სოფლის მეურნეობის განვითარება მაღალეფექტური ტექნოლოგიების დანერგვის გზით“ ქვეპროგრამის „მაღალეფექტური ერთწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების განვითარების ხელშეწყობის“ ფარგლებში შესყიდულ 48 000 (ორმოცდარვა ათასი) კილოგრამ „ლუბაშა“-ს ჯიშის ნიორის სათესლე (სარგავი) მასალასთან ერთად. ხსენებული ქვეპროგრამების ფარგლებში 259 ბენეფიციართან გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება, მათ შორის 258 ფიზიკური პირია, ხოლო 1 კოოპერატივი.

დღეის მდგომარეობით ქვეპროგრამებით განსაზღვრული თანაგადახდისათვის გათვალისწინებული თანხა გადახდილი აქვს 50 ბენეფიციარს, ხოლო ქობულეთის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტების მერიებიდან წარმოდგენილი განცხადებების თანახმად, 209 ბენეფიციარი ვერ ახერხებს ზემოაღნიშნული ქვეპროგრამების ფარგლებში წარმოქმნილი დავალიანების (ქვეპროგრამებით განსაზღვრული თანაგადახდისათვის გათვალისწინებული გადაუხდელი თანხა და აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული გადაუხდელი პირგასამტეხლო) დაფარვას.

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად რეგიონში განხორციელებული მრავალი მხარდამჭერი და ხელშემწყობი ღონისძიებისა, იმის გათვალისწინებით რომ სასოფლო-სამეურნეო სფეროში გაწეული საქმიანობა უამრავ უმართავ, გარდაუვალ რისკთანაა დაკავშირებული, რომელთა აცილებაც ფაქტობრივად შეუძლებელია (სტიქიური უბედურებები, სეტყვა, გვალვა და სხვა) ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ ფერმერების დიდი ნაწილი მაინც რჩება სოციალურად მოწყვლად ჯგუფად, ფერმერები, რომლებიც წარმოადგენენ სოფლის მეურნეობის სფეროში განხორციელებული პროგრამების/პროექტების ბენეფიციარებს, ვერ ახერხებენ პროგრამით/ქვეპროგრამით მიღებული სარგებლის სანაცვლოდ აღებული ვალდებულების შესრულებას. მოცემულ შემთხვევაში, ბენეფიციარებმა, მიუხედავად პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაციის მხრიდან თანხების ამოღების მიზნით გატარებული ღონისძიებისა, ვერ შეძლეს მათზე დაკისრებული დავალიანების (ქვეპროგრამებით განსაზღვრული თანაგადახდისათვის გათვალისწინებული გადაუხდელი თანხა და აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული გადაუხდელი პირგასამტეხლო) გადახდა. შესაბამისად, შეიქმნა მათზე დახმარების გაწევის რეალური საჭიროება, რაც გულისხმობს ქვეპროგრამის ბენეფიციარებზე (ამ შემთხვევაში ფიზიკური პირები, კოოპერატივი) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით წარმოქმნილი დავალიანების (ქვეპროგრამებით განსაზღვრული თანაგადახდისათვის გათვალისწინებული გადაუხდელი თანხა და აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული გადაუხდელი პირგასამტეხლო) ჩამოწერას.

აღსანიშნავია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2017-2018 წლების რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების „სოფლის მეურნეობის განვითარება მაღალეფექტური ტექნოლოგიების დანერგვის გზით“ ქვეპროგრამების „მაღალეფექტური ერთწლიანი სასოფლო - სამეურნეო კულტურების წარმოების განვითარების ხელშეწყობის“ ფარგლებში ნიორის სათესლე (სარგავი) მასალის, სასუქებისა და ჰერბიციდების თანაგადახდისათვის გათვალისწინებული ჯამური დავალიანება ბიუჯეტის წინაშე შეადგენს 194 609,67 ლარს. ამასთან, ვალდებულების შეუსრულებლობისათვის დარიცხული პირგასამტეხლო მიმდინარე წლის 23 ივლისის მდგომარეობით შეადგენს 13 155,62 ლარს. ამდენად, 2020 წლის 23 ივლისის მდგომარეობით, დავალიანება სულ შეადგენს 207 765,29 ლარს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე გაცემული სესხების რესტრუქტურიზაციის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტით ფერმერების სოციალური პირობების გაუმჯობესების მიზნით, ქვეპროგრამის ბენეფიციარებზე ჩამოწერილად ჩაითვლება, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით წარმოქმნილი დავალიანება (ქვეპროგრამებით განსაზღვრული თანაგადახდისათვის გათვალისწინებული გადაუხდელი თანხა და აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული გადაუხდელი პირგასამტეხლო).

აღსანიშნავია, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე გაცემული სესხების რესტრუქტურიზაციის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტის ინიცირება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება ახალი კორონავირუსის (COVID 19) გავრცელების პირობებში, ვინაიდან პანდემიით გამოწვეული შეზღუდვები მნიშვნელოვნად აისახა მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობაზე, მიუხედავად ქვეყანაში ამ მიმართულებით გატარებული სხვადასხვა ღონისძიებისა, მოსახლეობის სოციალური დაცვა კვლავ რჩება მნიშვნელოვან გამოწვევად. ამდენად, მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობაში დასაქმებული პირებისათვის, არსებული არც თუ ისე სახარბიელო სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის დასაკომპენსირებლად, უზრუნველყოფილი იქნეს მათზე დახმარების გაწევა ზემოაღნიშნული - დავალიანების (ქვეპროგრამებით განსაზღვრული თანაგადახდისათვის გათვა-ლისწინებული გადაუხდელი თანხა და აღნიშნული ვალდებულების შეუსრუ-ლებლობისათვის გათვალისწინებული გადაუხდელი პირგასამტეხლო) ჩამოწერის - ფორმით, ამასთან, სავარაუდოდ, აღნიშნული თანხები მეტწილად მიმართული იქნება სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის, რაც მათ სოციალურ მდგომარეობას გააუმჯობესებს.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე გაცემული სესხების რესტრუქტურიზაციის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტის ინიცირების მიზანია სოციალური პირობების გაუმჯობესების მიზნით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2017-2018 წლების რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების „სოფლის მეურნეობის განვითარება მაღალეფექტური ტექნოლოგიების დანერგვის გზით“ ქვეპროგრამების „მაღალეფექტური ერთწლიანი სასოფლო - სამეურნეო კულტურების წარმოების განვითარების ხელშეწყობის“ ბენეფიციარებზე (ფიზიკური პირები, კოოპერატივი) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით წარმოქმნილი დავალიანების (ქვეპროგრამებით განსაზღვრული თანაგადახდისათვის გათვალის-წინებული გადაუხდელი თანხა და აღნიშნული ვალდებულების შეუსრუ-ლებლობისათვის გათვალისწინებული გადაუხდელი პირგასამტეხლო) ჩამოწერა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე გაცემული სესხების რესტრუქტურიზაციის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონს დაემატება გარდამავალი დებულებები მე- ,,7[1]“ მუხლის სახით. აღნიშნული ცვლილებით „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე გაცემული სესხების რესტრუქტურიზაციის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის ამოქმედებისთანავე ჩამოწერილად ჩაითვლება 2017-2018 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების „სოფლის მეურნეობის განვითარება მაღალეფექტური ტექნოლოგიების დანერგვის

გზით“ ქვეპროგრამების „მაღალეფექტური ერთწლიანი სასოფლო - სამეურნეო კულტურების წარმოების განვითარების ხელშეწყობის“ ბენეფიციარებზე (ფიზიკური პირები, კოოპერატივი), ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით წარმოქმნილი დავალიანება (ქვეპროგრამებით განსაზღვრული თანაგადახდისათვის გათვალისწინებული გადაუხდელი თანხა და აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული გადაუხდელი პირგასამტეხლო).

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

კანონპროექტის მიღება გარკვეულ გავლენას იქონიებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლებზე შემცირების კუთხით, ვინაიდან ამ კანონის საფუძველზე, სოციალური პირობების გაუმჯობესების მიზნით, ფერმერებზე, როგორც ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების „სოფლის მეურნეობის განვითარება მაღალეფექტური ტექნოლოგიების დანერგვის გზით“ ქვეპროგრამების „მაღალეფექტური ერთწლიანი სასოფლო - სამეურნეო კულტურების წარმოების განვითარების ხელშეწყობის“ ბენეფიციარებზე (ფიზიკური პირები, კოოპერატივი) ჩამოიწერება ქვეპროგრამების ფარგლებში ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით წარმოქმნილი დავალიანება (ქვეპროგრამებით განსაზღვრული თანაგადახდისათვის გათვალისწინებული გადაუხდელი თანხა და აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული გადაუხდელი პირგასამტეხლო). მაშასადამე განხორციელდება ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში ჩასარიცხი თანხების ჩამოწერა.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

კანონპროექტი არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

ბ.დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალი ფინანსური ვალდებულებები;

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის ახალი ფინანსური ვალდებულებების წარმოქმნას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება;

კანონპროექტით შესაძლებელი გახდება სოფლის მეურნეობის სფეროში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2017-2018 წლების რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების „სოფლის მეურნეობის განვითარება მაღალეფექტური ტექნოლოგიების დანერგვის გზით“ ქვეპროგრამების „მაღალეფექტური

ერთწლიანი სასოფლო - სამეურნეო კულტურების წარმოების განვითარების ხელშეწ-ყობის“ ბენეფიციარების (ფიზიკური პირები, კოოპერატივი) სოციალური პირობების გაუმჯობესება.

გ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

გ.ა) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

გ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

კანონპროექტი მოწონებულ იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ.

დ) კანონპროექტის ავტორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ე) კანონპროექტის ინიციატორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე.

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

GEORGIA
AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA
MINISTRY OF FINANCE AND ECONOMY

www.mofea.ge

6018 ქ. ბათუმი, კომახიძის ქ. №119 ტელეფონი: (04 22) 27 35 10 (102) ფაქსი: (04 22 27 66 71
6018 №119 Komakhidze str, Batumi, Georgia Tel: (04 22) 27 35 10 (102) Fax: (04 22 27 66 71

2713-01-01-10-2-202007280855

N 01-01-10/2713
28/07/2020

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
სოფლის მეურნეობის მინისტრს
ბატონ ტიტე აროშიძეს

ბატონო ტიტე,

თქვენი 2020 წლის 27 ივლისის N03/656 წერილის პასუხად, რომლითაც წარმოდგენილია „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე გაცემული სესხების რესტრუქტურიზაციის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი, გაცნობებთ, რომ პროექტთან დაკავშირებით სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები არ გაგვაჩნია.

პატივისცემით,

ჯაბა ფუტკარაძე

მინისტრი